ხელშეკრულება № 07

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჭიათურა 01 თებერვალი 2018წ.

ერთის მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ მარინე სარალიძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი – სახელმძღვანელოს ავტორი (შემდგომში - მიმწოდებელი) გიგლა ზენაიშვილი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მათემატიკის სავარჯიშოების კრებულების (CPV 22100000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებელის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2 ხელშეკრულების თითოეული მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გასწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში – ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3 მხარეთ პასუხისმგებლობა და ვალებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელმოწერების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი.

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები

უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1 ხელშეკრულებდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა განისაზღვროს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით.

10.2შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მის მიერ მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგეილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი

სსიპ ჭიათურის
მუნიციპალიტეტის სოფელ
ეწერის საჯარო სკოლა

დირექტორის მ/შ: მარინე
სარალიძე
ს/კ 215606422

საბანკო რეკვიზიტები

სს"ლიბერთი ბანკი" ცენტრ.

ფილიალი

ა\ნ GE85LB0121181956526000

ხელმოწერა

მიმწოდებელი

ფ/პ გიგლა ზენაიშვილი

ს/კ 01025007244

მისამართი: თბილისი, ი. პეტრიწის 6 ბ. 38

ტელ: 599380110

mail: qartulicigni@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტები

სს"ლიბერთი ბანკი" ცენტრ. ფილიალი

ა\ნ GE51LB0711170905045000

ფ/პ გიგლა ზენაიშვილი

ხელმოწერა

მიღება-ჩაბარების აქტი

ჭიათურა 01 თებერვალი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერმა პირებმა, ერთის მხრივ მათემატიკური სავარჯიშოების კრებულების ავტორმა გიგლა ზენაიშვილმა და მეორე მხრივ სოფელ ეწერის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ მარინე სარალიძემ შევადგინეთ აქტი მასზედ, რომ გ. ზენაიშვილმა სკოლას გადასცა:

1. ლოგარითმული ფუნქციები, განტოლებები და უტოლობები 1ცალი
   X 10 ლარი = 10 ლარი.

2. ტრიგონომეტრიული ფუნქციები, განტოლობები და უტოლობები 1ცალი
   X 10 ლარი = 10 ლარი.

   სულ 20 (ოცი) ლარი

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლარად

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

ჩააბარა: გიგლა ზენაიშვილი

ჩაიბარა: (სახელი, გვარი)